



ବ୍ୟାଜକରଣ

ლმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ

ଶ୍ରୀ ପାତ୍ର କାନ୍ତିଲାଲ ପାତ୍ର ମହାନ୍ତିର ଗାଁଳିଟିକ ନଂ ୩ (୨୦)

ଧୂର୍ବଳାବ୍ସନ୍ଦର୍ଶନ ୨୦୧୦



20 ნოემბრი, 1990 ნოემბრი 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომლის შედეგად ხელისუფლებაში მმართველ პარტიად მოვიდა „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“, ეროვნული მოძრაობის თავკაციის ზეინად გამსახურდის მეთაურობით.

გვუვარქოს პალიტიკური არეალის!

მამულის ხსნის იმედები გამყარდა, -
ძმობის, ნდობის, რა სიმაღლე აჩვენეს;
გაუმარჯოს ოქტომბრის თვის იცდარვას,
გაუმარჯოს კანონიერ არჩევნებს!

ქვეყნად იყო: რწმენა! აზრი! სიმშვიდე! –
აღმაფრენის ველს მოედო ხმა-ექი;
უმაღლესზე იდგა მისი სიდიდე,
კომბაფია რა უსისხლოდ დაემხო!
ყველა იყო ამის მოწმე-მნაცველი,
(ოცდარვა ბორკილთ მსხვრევის წინადღე!)
ისტორიას რჩება მისი სახელი
წერილი არ არის მარტინ დორპი.

ვიზც სამრბდლოს მოუტახა სიხათლე!
იმ დღეს კველა ხელს ერთმანეთს ართმევდა, -
საქართველოს დაწინამდებარებული მერაბი! -
მაგრამ იმ დროს შხამს ხსხიდან ანთხევდა
პოროტების იმპერია ვერაგი!
დიახ! იმ დღეს იმედები გამყარდა, -
იმ დღეს მართლაც რა დიდება აჩვენეს! -
გაუმარჯოს ოქტომბრისთვის ოცდარვას,
გაუმარჯოს კანონიერ არჩევნებს!

OK 1:8482032820 1:88 82013

სიკვდილი შემოგვეჩვია,
არის ზეობა სატანის.
მე რომ სიცოცხლეს მერჩია,
ის საქართველო სად არის?
შავ ნისლებს იხვევს მთაწმინდა-
რაც იყო, იმის ლანდია-
და სინმინდისგან გაძარცულ
ნათბილისარში დავდივარ.
შავ ზღვაზეც შავი ნისლია
და ტყვეობაში აესულის
სულს დაფას გაგრა ჯვარცმულ
„შავი ზღვის თეთრი ასული“.
დღეა შავი და რიოში,
დღე-დღე მძაფრდება ტკივილი.
ცას ფარიავს სამეგრელოში
ქართველი დედის კივილი.
სიკვდილი შემოგვეჩვია,
არის ზეობა სატანის.
მე რომ სიცოცხლეს მერჩია,
ის საქართველო სად არის?

საქანთველოს გადასახჩენი!

თუ მოგენატრა უავდარო ცა,
თუ კიდევ უწყის შენი გამჩენის,
შენც დაიჯერებ ამ ჩემს სალოცავს-
საქართველოა გადასარჩენი!
მიწა, ისევ რომ სტკივა იღია,
და გალაცტიონს სურს უსართულოს,
რაც ძვირფასია, რაც ნამდვილია
და ჯერ ცოცხალი კიდევ ქართულობს,-
ისევ ის არის, ისევ ლელოა,
შენი კაცური მხრების გამშლელი,-
საქართველოა, საქართველო
ქართველთა ხელით გადასარჩენი!
ციხე მხილველი ყრმათა როგორთა!..
ხნული ნინაპრის – მერე, რა ხნული!..
შენი ჯვარი და შენი გოლგოთა,
ვაზის ნანგავით სულში ჩანწეული;
ქართულს რომ ახსოვს - ყველა შავლეგო..
ქართულს რომ ავსებს - ყველა არაგვი...
დრომ უეტურმა რომ არ წალეკოს
შენი ჯილაგის ძვალშესალაგი;
სისხლი ცხენისნებულის, ლველფი დარჩელი
დიოსკურიის მზე და მშვენება,-
აი, დღეს ეს გვაქვს გადასარჩენი
და სუყველაფერს სხვას ეშველება.
ბევრს, რომ თავისი ახსოვს იარა,
თავის დარდი კლავს, თავის სარჩელი,-
კაცი კი არა, ტახტი კი არა, -
საქართველოა გადასარჩენი!
„არა მართლად ვალს...“

”კეთილ იცოლტა...
უწყვილი, მაგრამ არ იდავითა,-
არც ანათებდა, ვინც არ იწოდა,
ვინც არ იწამა გვემა თავიდან...
ისევ ის არის, ისევ ლელოა,
ვაზის ფოთოლი - უფლის სარჩევი
საქართველოა, საქართველოა,
საქართველო გადასარჩენი!

ბედისწერამ ინება, რომ ზვიად გამსახურდია მაშინ მოვლი-ნებოდა მშობელ ქვეყანას, როცა ურნმუნოების სიბნელემ მოიცვა მრავალთა გონება... ის მოვიდა, რომ წამების გზით ევლო და გმირის ამტანობით ეტარებინა უმძიმესი ტყირთი.

* * *

მერაბ კოსტავას დასაფლავება გიგანტურ დემონსტრაცი-
ად იქცა.
მაშინ ალბათ, ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ ისევ
შემოპრუნდებოდა კომუნისტური რეაცია და უსასტიკეს
იერიშს მიიტანდა ეროვნული მოძრაობის მონაწილეებზე...

* * *

თქვენ გინდათ, რომ მოკვდეთ დიდ საქართველოსთვის,
თქვენ მართლა დიდ ამბავს, დიდ საქმეს შემოწვდით,
მე ისე მომზნებართ და ისე მიყვარხართ,
მე მინდა იჯორჩხლოთ დიდ საქართველოსთვის!

შოთა ნიშნიანიძე

ზეითადსა და მერაბს ბავშვობიდანვე შესტკიოდათ გული საშობლოს დაჩაგრული ერის ბედზე. ისინი ქრისტესმიერი ძმები იყვნენ, ერთი ბატონ კონსტანტინეს ხორციელი, ორი-ვენი კი - მისი სულიერი შვილები.

უდიდესი ქართველი მწერლისა და პატრიოტის ოჯახში, კოლხურ კოშკში გაზრდილმა ზევიად გამსახურდიან ბავშვობიდანვე შეიმეცნა ჭეშმარიტება, რომ ადამიანის სამშობლოზე ძვირფასი არაფერი გააჩინა და, რომ სამშობლოს სამსახური, საჭიროების შემთხვევაში კი მისდამი თავდადება, ადამიანის უზენაესი დანიშნულებაა ამქვეყნად.


მან თითქმის შეუძლებელი შეძლო: გასაოცარი შემართებით მებრძოლმა გულანთებულმა პატრიოტმა, ასევე „საბჭოთა“ სხვა ერების გულანთებულ პატრიოტებთან ერთად, მსოფლიოს უძლიერეს ბოროტების იმპერიას ჯერ ტახტი მოურყია, ხოლო შეძეგ უკვე, თითქმის ერთადერთმა, ორკაპა არნივს კლანჭებიდან თვალდახელშუა გამოსატაცა თავისი ქვეყანა და თავისუფლების უდიდეს აღმართს შეუყენა...

30 ଏକା..

უფლის მოღალატე ვიდრე მართალია,
ქვეყანა იცხოვრებს გოდებით...
შეხედე, ქართველო, ეს რა დაგმართნია,
არ გეყო სამარის ლიდები?!
სიცრუემ დალენა ცველა მისტერია,
მამულში გველივით დაძრები...
საიდან ამხელა ზიზღის ისტერია,
სანთლების მაგივრად — ხანძრები!
ვიდრე ახალუხზე სხვისი ხანჯალია,
წყვდიადის გარტყია ხუნდები —
სისხლიან ქალაქში, სადაც ხან ჯარია,
ხან მეფის დაყრილი ხურდები!
როდემდე გაგართობს ძველი რია-რია,
ალდები, უცეცხლოდ ალდები...
ის მაინც მითხარი, ახლა ვინ არიან,
გუშინ რომ გაყიდეს დარდები...
ცას შავი ღრუბელი ცრემლად მისწოლია
გოლგოთას ღიმილით შორდები...
სხვამ იქნებ იყიდა სულაც ისტორია,
შენს გულზე ცეკვავდნენ შოლტები.
შარბათის წვიმებით ქვეყანა სველია,
წყვდიადმა გაშალა ბეჭები...
სული განიმინდე, ვიდრე გასვენია
შუბლზე სხივოსანი ბეჭედი!

ლაშა ნადარეიშვილი

ნებან არიან დევნილი სიმართლისათვის...



కెరాల లో మాన్యమాన్

რადგან ზეცას ვარსკვლავებად ამჟობს ბევრი სახელი,
შენაჯამი დრო დაფეხბა თვალის კარგად ახელის,
საქართველო ამაღლება სიდიადის მზერამდის-
მნათობთ შორის იკაშვაშებს ზვიადი და მერაბი.
ისეთ გზებით შეურჩიეს იდეების თესლი ხნულს,
მათ რუსთველზე კვლავ ვიხილავთ ბრინჯაოში ჩამოსხმულთ.
და ეს აზრი მსურს დავიდეს ერამდის და პერამდის:
ხსოვნას მარად გააცისკრებს ზვიადი და მერაბი.

ତାମାଳ ଫୁଲିବା

ნახატი სიტყვაზე ნაკლები როდის



ერთი ჯილაგის ხალხში ზოგი დამანგრეველია,
ზოგი-ალმშენებელი.



გავრძელება. დასაწყისი იხ.
„ნოჯიხური“ №19.

ქღია დაგომის კუნძულის ცი-
კილიზაციისა და კულ-
ტურის წარმოშობის
შესახებ არსებობს რამდენიმე
ჰიპოთეზა. მ. ბრაუნის მიხედ-
ვით, აღდაგომის კუნძული წარ-
მოადგენს ჩაძირული კუნტი-
ნების ნაწილს. ამ მატერიკ-
ზე მცხოვრებ ხალხს მაღალი
რანგის კულტურა ჰქონდათ.
ამ კულტურის ნაშთის კვალი
დღესაც ჩანს აღდაგომის კუნ-
ძულზე.

მეორე ჰიპოთეზა, რომლის
ავტორიც ბალფერა, გულისხ-
მობს, რომ აღდაგომის კუნძუ-
ლის კულტურა შელანებიური
წარმოშობისაა. ამ ჰიპოთეზას
თითქმის ისიც ადასტურებს,
რომ აღდაგომის კუნძულზე
ფრინველი ფრეგატის კულ-
ტია გავრცელებული. თვით ეს
ფრინველი კა ამ კუნძულზე არ
მოიპოვება, იგი მელანებიური
წარმომავლობისაა.

ასევე მელანეზიელები, აღდ-
გომის კუნძულის ქვის გოლი-
ატური ქანდაკის მსგავსად,
ყურების იგრძელებენ და მონი-
თალო ტუფის ქისგან დამზა-
დებული თავსამოსების მსგავ-
სად თმებს წითლად იღებავენ.

ბევრი სხვა ანალოგიური
შეხედულებების გამო ამ ჰი-

—

პოთეზების მიმდევრები ამტ-
კიცებენ, რომ აღდაგომის კუნ-
ძული ძველთაგანვე დასახლე-
ბული იყო მელანეზიელებით.

შედარებით გვიან კუნძული
დაიპყრეს თეთრაკანიანმა პო-
ლინეზიელებმა და მათ მე-
ლანეზიელებისგან გადაიღეს

ყურების დაგრძელების ჩვეუ-
ლება — ფრინველი ფრეგატის
კულტი.

მესამე ჰიპოთეზა, ნორვეგი-
ელი მოგზაურისა და მკვლე-
ვარს, ტურ ჰეიერდალს ეკუთ-
ვნის. მისი აზრით, აღდაგომის
კუნძულის კულტურა შექმნა
ჩვენი წელთაღრიცხვით IV

საუკუნეში სამხრეთ ამერიკა-

დან მოსახლეობის კუნძულის
კულტურის დამზადება კუნძულის
175 ნიშანი იდენტუ-
რია მდინარე ინდის ველზე უძველეს
დოროში გავრცე-
ლებული და მნიშვნელობათა ნიშნებისა
(მოხენჯო-დაროსა და პარაპას ციფი-
ლიზაცია). ამ ჰიპოთეზას ხევში
გამოთქვამს იმის მიუხედავად,
რომ აღდაგომის კუნ-
ძულსა და მდინარე ინდის ველს შორის
ინტერვალი დაახ-
ლოებით 1300 მი-
ლია და ასევე მათ

სი რამ არსად მოხსენიებული
არ არის. აღდაგომის კუნძულის
სახელწოდება, დედამიწის
ჭიპი, ძალზე ძველი წარმო-
მავლობისაა და გეოგრაფიულ
მდებარეობას უფრო გამოხა-
ტავს ვიდრე სხვა რამეს.

რომ უფრო ნათელი წარმო-
დება ვიქენიოთ აღნიშნულ
საკითხზე, უნდა შევეხოთ პან
შინდლერის გამოხატულებულ
ვერსიას დედამიწის ლერძის
გადახრის შესახებ. გაიზიარა
რა მეცნიერების — არტურ
პოზნანსკისა და ეფონო კისის
მოსაზრება და ასევე გამოი-
ყენა ჰერბიტერის ჰიპოთეზა,
მან წარმოაყენა ვერსია: თავდა-
პირველად მთვარის ორბიტა
გადიოდა პლანეტა მარსსა და
დედამიწას შორის. ერთ დღეს
მთვარე დედამიწა მიიზი-
და და გახდა ჩვენი პლანეტის

სიტყვა „ფალოსი“ მეგრული
სიტყვის ძირზე წარმოშო-
ბილი და ახალი სიცოცხლის
დაწყებას, კვირტის გაშლის
სიმბოლურ გამოხატულებას
მიუთითებს.

ასევე უძველეს კოსმოგენი-
აში, განაყოფილებული კვირ-
ტის გამოხატულებაა დიდი
წრებაზი — („O“), რომელსაც
„მუტი“-ი ეწოდება. აღნიშნუ-
ლი „მუტი“-ი ქართული სიტ-
ყვის ძირია და დედაკაცის
საშობო მიუთითებს. ასე რომ
უძველესი კოსმოგენიური
სიმბოლოები „ფალოსი“ და
„მუტი“-ი ეზოტერულ თეო-
სოფიაში შესულია ქართული
ენიდან. ისინი გამოხატავენ
სიცოცხლის უსასრულო გამ-
რავლების პროცესს.

აյ საჯაროდ უნდა განვა-
ცხადოთ, რომ თითქმის ყვე-

ფრინველის წყვილები (მდედ-
რი, მამრი) შეიყვანა და ორმო-
ცი დღე ბობოქარ ტალღებზე
იცურა.

ნოეს კიდობანი სხვა არაფე-
რია, თუ არა სამყაროს ახალი
ციკლის დაწყება და ორსქესი-
ანთა წარმოშობის აღევორიუ-
ლი გამოხატვა.

თეოსოფი და კაბალისტი
ვამადევა მოდელიარი ასე
აღნერს სამყაროს ციკლის
დამთავრების დამაქციველ
ლამეებს.

-საშინელი ხმაური გაისმის
ყოველი მხრიდან, რომელიც
წინამორბედია ბრამის ლამეე-
ბისა. ბინდი აღიმართება ჰო-
რიზონტზე. მზე გადაიხრება
მაკარის ნიშნის იქით 30° (ზო-
დიაქოს სასწორის ნიშანი). იგი
ამიერიდან ველარ მიაღწევს
მინას ნიშანს (ზოდიაქოს
თევზის ნიშანი). დამკარებ-
ლებს ამიერიდან შეუძლიათ
დაამტვრიონ და გადაყარონ
თავიანთი ასტრონომიული
ხელსაწყოები, რადგან ისინი
მათთვის გამოუსადეგარი იქ-
ნებია.

სინათლე თანდათან დაკარ-
გავს ძალას. სითბო შემცირ-
დება. დედამიწაზე გაიზრდება
უკაცრიელი ადგილები, მდი-
ნარებება და ოკეანებში წყა-
ლი თანდათანობით დაშრება. ჰე-
რის სიმკრიცე შესული წარმო-
მავლობისაა. ამ გარემოებაში
შეიძლება მკითხველთა ერთ
ნაწილში ეჭვიც დაბადოს, მაგ-
რამ მე ასეთებს შევახსენებ,
რომ ქართული ენა, იგივე იბე-
რული ენა (მეგრულ-ლაზური
(ჭანური) და სავანური ენები)
დედამიწაზე ყველაზე ძველი
და განყენებული ენებია. ამი-
ტომ ისეთი სიტყვები, რომე-
ლებიც სხვა ენათა სიტყვების
ანალოგებს წარმოადგენს, ქა-
რთული ენიდან არიან მით-
ვისებულნი. ეს ჩვენ ყოველთ-
ვის უნდა გვახსოვდეს.

ეზოტერულ თეოსოფია-
ში, მდედრობითი საწყისის
შეფარდება მის მარობით
საწყისთან, არის წერაზის
სიგრძის შეფარდება მის დი-
ამიტრთან, რომელიც იძლევა
გაყიდვის უსასრულო ციკლს
ანუ ცოცხალი ორგანიზმების
უსასრულო გამრავლებას. ეს
რიცხვი მათემატიკაში აღი-
ნიშება „Π“ (პი) ასოთი. იგი
მიახლოებით ტოლია:

— 3, 14159292035339828...

და ასე უსასრულობაში.

წრებაზის წინ გამოტანილი
მისი დიამეტრიც იძლევა რი-
ცხვს 10-ს. ქრისტიანულ რე-
ლიგიაში 10 წმინდა რიცხვია
და სამყაროს უსასრულო გამ-
რავლების სიმბოლურ გამოხა-
ტულებას წარმოადგენს.

ფალოსისა და მუტის კულ-
ტის განსაზღვრაში სხვა რე-
ლიგიური ასპექტები არაფე-
რიანი არის 10-ს. ეს იუგა გრძელ-
დება — 1728000 წელინადს.

ტრეტა იუგაში მანერება შე-
მოდის და ეს იუგა გრძელდება

— 1296000 წელინადს.

დავაპრა იუგაში უფრო მეტად
ეცემა პატიოსნებით და რელი-
გიურობა. იზრდება განკურ-
ნება და ეს იუგა გრძელდება
864 000 წელინადს.

კალი იუგაში, რომელშიც
ჩვენ ვცხოვრობთ და, რომელ-
შიც უკვე 5000 წელინადია
მიმდინარებს უაღრესად მა-
ტულობს უთანხმება, უგუ-
ნურობა, არარელიგიურობა
და მანკირება. ეს იუგა გრძელ-
დება — 1728000 წელინადს. კალი
შემდინარების დიდი იუგაში კუ-
ლება და ეს იუგა გრძელდება
კატეპტორთა მეცნიერთათვის
ეს საკითხი დღემდე უცხობით.
კალია მოიცავს ოთხ იუგას: ხატიას,
ტრეტას, დვაპარასა და კაის.

სატია იუგა ხასიათდება პა-
ტიოსნებით, სიბრძნითა და

გ ზ ი ს გ ვ ი ლ ე ბ ი

რევაზ ერისთავი

კრონოლოგიაში სხვაობა 3000
წელია. ნების შემთხვევაში მოხსენიება აღნიშნული დიოზული ძვრები, რამაც დე-
დამიწაზე გამოიწვია კოლოსა-
ლური ძალის კატალიზმები. ჩვენი პლანეტის შემთხვევითობას მი-
ნიშნები მსგავსია ინდის ველის
მიდამოებში გავრცელებული
დამნერლობისა, მაგრამ იმი-
სი თქმა კი დანამდვილებით
შეიძლება, რომ ხევებს ცოტა
უფრო გულისყრით რომ გა-
დაეხედა ამ ფარდის მიღმა,
გაცილებით უფრო საინტერე-
სო რამებს შენიშნავდა, ვიდრე
მან ეს დაინახა.

როგორც ზემოთ აღნიშ-
ნები, აღდაგომის კუნძულის
ლეგენდებში მისი სახელი მო-
ისხენიება, როგორც ტე პიტო
ო-ტე-ხენუა, რაც სიტყვასიტ-
ყვითებით შეინიშნავს დედა-
მიწის შესახებ მართლის მისი
მიმდინარებით მოხსენიება
და ახალი როგორის სახელი
აღდაგომის კუნძულის ძველი
მოსახლეობა, რომ ასეთი ეგ-
ზოტყიური სახელით მოხსათ-
ლა მშობლიური მინა. ვითომ
შემთხვევითობაში? არა, აქ
უფრო მნიშვნელოვანი ატრი-
ბუტია გამოყენებული, ვიდრე
პოეტური ფორმით შერქმეუ-
ლი სახელი.

დაიმსახურებს პატივისცემას, არამედ შენთვისაც — მშობლისთვისაც კარგი და თავაზიანი იქნება. რადგან გარდა მშობლის მიმართ ბუნებრივი გრძნობისა, მას გაუჩინდება არანაკლები სიყვარული, რომლის წყაროც იქნება სიკეთე. ის არა მარტო თავაზიანი, არამედ უფრო სასარგებლოც გექმნება შენ, რამეთუ პატივს მოგაეცებს, მოგემსახურება და თანადგომას გაგინევს სიბერეში. ურნმუნო შვილები მშობლებსაც უდიერად ეცცევიან, ხოლო მოკრძალებულნი ღვთის მიმართ-მოწინებით ეყყრობიან მათ. იმისათვის, რომ განმართლდე ღვთისა და ხალხის წინაშე, სასიამოვნო გახადო შენი ცხოვრება და სასჯელს თავი აარიდო, ყოველნაირად იზრუნე შენს შვილზე. ამ საქმეში დაუდევარნი, სხვა ყველაფერში წესიერები დაზომიერებიც რომ იყვნენ, მაიც საშინალად დაისჯებიან. ამის

მტრებმა დახოცეს, მაგრამ
დანაშაული მას მიუძღვის, რა-
დგან თავისი დაუდევრობით
მათ ღვთის შეწევნა მოაკლო
და დაუცველი და უსუსურ-
ნი დატოვა ისინი. შვილებთან
ერთად მან თავიც დაიღუპა.
დღევანდელი მშობლებიც
იგივე მდგომარეობაშია. არ
სურს უზნეოდ მცხოვრები
შვილების მხილება, არც გან-
კეპვლა და სიტყვიერი დასჯა. მამები ხშირად ხედავენ შვი-
ლების მძიმე დანაშაულს. ამის
გამო მათ ასამართლებენ და
სიკედილით სჯიან. როდესაც
შენ არ მოძღვრავ და არ სჯი
მათ, ისინი უზნეო და გარყვ-
ნილ ადამიანებს ეკედლებიან
და მათ უპატიოლსხო საქმეში
მონაწილეობას იღებენ, რის-
თვისაც საერთო კანონებით
განიკითხებიან და ყველას
თვალწინ ისჯებიან. როდესაც
შვილის სიკედილში დამანაშა-
ვე მამა ყველასათვის თითით
საჩვენებელი ხდება და საკრე-

სურვებ, არანაირი განსაცდელი არ შეგემთხვევა, რადაგან ყველა შენი საქმე ღვთისგან კურთხეული იქნება, და უდიდესი სიმშვიდით ინეტარებ, ხოლო თუ მოიკლებ ამ შეჩევნას, შენი მეფობიდან და ძალაუფლებიდან არა გვითარი, სარგებლი არ გაქნება.

იგივე უნდა ვუთხრათ ჩვენს
შვილებს სიცოცხლეშიც და
სიკვდილის წინაც და ჩავაგო-
ნოთ, რომ უკეთესი სიმდიდრე
უხრნელი მემკვიდრეობა და
მარადიული საგანძური არის
შიში ღვთისა. უნდა ვიცოდეთ,
რომ მათ დაცუტოვოთ არა
ნარმავალი ქონება, არამედ
ღვთით მოსავობა მტკიცე და
შეურყყეველი. სახიფათო და
სამარცხვინოა სიკვდილი მდი-
დარი კაცისა, თუ იგი ღვთის-
მოშიში არ იყო, ხოლო სადაც
შიშია ღვთისა, იქ გლახაკი და
არაფრის მცოდნეც ცხონდე-
ბა. თუ შენს შვილს კარგად
აღზრდი, ისიც ასევე კარგი
მშობელი იქნება და მისი აღ-
ზრდილიც ასევე გააგრძელე-
ბს. ამგვარად ნარმოიქმნება
ჯაჭვი მშვენიერი ცხოვრები-
სა და გაგრძელდება მარად,
რომელსაც სწორედ შენმა
შთამომავლობაზე ზრუნვამ
ჩაუყარა საფუძველი. მამები,
რომ გულისხმიერებით ეკი-
დებოდნენ აღზრდის საქმეს,
მაშინ საჭირო არ იქნებოდა
კანონები, სასამართლოები,
არც წამებანი და სახალხოდ
სკოლით თასაზანი.

ოჯახური აღზრდის ამოცანები ქრისტიანულ პედაგოგიკაში

შვილნი, სნავლენ იგინი და დასამტკიცებლადმოგიყვებით ბულოში შესვლა ეკრძალება.

შვილნი, სწავლენ იგინი და
მოუდრიკენ სიყრმოთგან ქედ-
ნი მათი“. (ისაია ზირაქი, 7, 25).
— თუ თუ არა მხოლოდ იძრნ

დასამტკიცებლადმოგიყვებით
ერთ უძველეს ამბავს: იუდე-
ველებს ყავდათ ერთი მღვდე-
ლი კომისარი წარინაოდა.

ଦ୍ୟୁଲୂପିଶ ଶେସବଲା ଏକରାତ୍ରେବା,
ମେଳନ୍ଦିର ମାଥିନ ଉଠିନ୍ଦେବା ସିର-
ତ୍ତେବିଲିବ ଗର୍ଦନ୍ଦବା. ରନ୍ଧର
ୟନ୍ଦିର ଗାୟସନ୍ତରିରିଲ ମାନ ତୁଳାଲି
ଶେମହେବେରିତ ଶୈଳିଲିର ଅମଗବା-
ରି ଉନ୍ନେଶିର ଦା ଉତ୍ତାତିନିଲିନିର
ଶାକ୍ତିପାଇଲିର ଶେମଦ୍ଦେଖ? ଅମିତ୍ରମ
ଗତ୍ରିବତ ଦା ଗମ୍ଭୀରାର୍ଥିତ,
ୟଦିଦେଖି ମଧ୍ୟରୁନ୍ଦେଲିନିତ
ମେଧିପୁରିତ ଦା ଗାମ୍ଭୀରମ୍ଭିତ
ନିର୍ବାନିତ ମାତି ଶୁଣିଲିର ଗା-
ରାରାରିନିଲିନାତିଵିର. ଶେବ ଶାର ନୀ-
ନାମଦିଲିଲି ମତ୍ରେଲି ରଜାନୀଲିର
ଦା ଶେବ ହିଙ୍ଗାବାରା ଫୋଲିଚ ଦା
ଶୈଳିଲିବିଚ.

პავლე მოციქული ცოლზე
იტყვის: „ხოლო უკეთუ სწავ-
ლის რაიმე უნდეს, სახლსა
შინა თვისთა ქმართა ჰკითხ-
ვედ მათ“ (1 კორ. 14, 35), ხოლო
შვილებზე კი ბრძანებს: „გან-
ზარდენით იგინი სწავლითა
და მოძღვრებითა უფლისათა“
(ეფეს, 6,4). წარმოიდგინე, რომ
სახლში გაქვს ქანდაკებები —
შვილები. შვილები ყოველდ-
ღე შეამონებ გულდასმით და
მოაწესრიგე ისინი, ყოველ-
ნაირად შეამყე მათი სულები.
მიბაძე ნეტარ იობს, რომელიც
იმ შეშით, რომ ის შვილებს
ფიქრშიაც კი არ შეეცოდათ,
ღმერთს მსხვერპლს სწირავ-
და და უდიდეს მზრუნველო-
ბას იჩენდა მათდამი. მიბაძე
აბრაამს, რომელიც საღმრთო
მცნებებისთვის იღვწოდა და
არა სიმდიდრის შეძენისთვის,
რათა შთამომავლობაში უფ-
ლის სიტყვის ზედმინევნით
შესრულების სურვილი ჩაე-
ნერგა. უფალი ამ სათხოებაზე
მიუთითებს, როდესაც ამბობს:
„ვითარ მსჯავრისა“ (დაბ. 18),
ასევე დავითმაც, სიკვდილის
ჟამს მოიხმო და ამცნო ძეთა
მისთა და სახლსა მისსა მის
თანა და იცნან გზანი უფლისა-
ნი, რამეთუ ძეთა მისთა ქმნად
სიმართლისა და თვისი ვაჟი
და მემკვიდრეობის დატოვე-
ბის მაგიერ ასე შეაგონებდა,
მოუკლებლად ეუბნებოდა:
თუ შენ, შვილო ჩემო, უფლის
მცნებებით ცხოვრებას მოი-

საჭიროებს მეაცრ მითყრობას,
ყურადღებასა და მშობლები-
სადმი შიშს. ამას იმისთვის არ
ვამბობ, რომ ულმობელი ვი-
ყოთ შვილების მიმართ, არა-
მედ მისთვის, რომ მათ აბუჩად
არ აგვიგდონ. თუკი ცოლს
უნდა ეშინოდეს ქმრის, შვილს
მითუმეტეს. არ მითხრა, რომ
შეუძლებელია ყმანვილური
ვნების დაოკება, თუ პავლე
მოციქული ამ ღვანწლს ქვრივი
ქალისგან მოითხოვს, მამისგან
— უფრო მეტად. ეს რომ შეუძ-
ლებელი იყოს, იგი ამას არ
გვიბრძანებდა, ყოვლის მანკი-
ერება ჩვენი უზრუნველობის
გამო იბადება, რადგან თავი-
დანვე, პირველი წლებიდანვე
შვილებს ღვთისმოშიმობას არ
ვაჩვევთ. ვზრუნავთ და ვიღ-
ვნით რომ მათ გარეგნული
განათლება მივაღებინოთ, ვგ-
ზავნით სამხედრო სკოლაში
სასწავლებლად, მაგრამ არ
ვფიქრობთ იმაზე, რომ ისინი
ანგელოზთა მეუფებისთვის
იყვნენ სასარგებლობი. სა-
ნახაობებზე წასვლის უფლე-
ბას ხშირად ვაძლევთ, ხოლო
ეკლესიაში წასვლას არასდ-
როს ვაძლებებთ. ბავშვი ტა-
ძარში ერთი-ორჯერ კიდეც
რომ მივიდეს, მაინც ამაო და
უსარგებლოა მისი იქ ყოფნა,
რაგდან ის ამით მხოლოდ ერ-
თობა. არა, ასე არ უნდა იყოს,
არამედ როგორც სასწავლე-
ბელში მოსიარულე ბავშვა

და ამქვეყნიური საგნებითა და სურვილებით არ მოიხიბლონ. საჭიროა გულმოდგინედ ვადევნოთ თვალი მათ საქციელს, მოქმედებას და ნაცნობთა წრეს, — იმ რჩმენით, რომ ამ საქციელში დაუდევრობას ღმერთი არ გვაპატიობს. თუ ჩვენ მოყვასისათვის ვაგებთ პასუხს, — „ნუ ვინ თავისასა ხოლო ეძიებნ, არამედ მოყვასისაცა თვითოვეული“ (კორ. 10.24) — უფრო მეტად არ ვაგებთ პასუხს ბავშვთა აღ-

მარიამ ბერძენიშვილი



მარიამ ბერძენიშვილი
შვილიშვილ თამთა თამაზის
ასულ ფილიასთან ერთად

დიდი ხანი არაა გა-
სული მას შემდეგ, რაც
ჩვენგან წავიდა დამ-
სახურებული პედაგო-
გი, შესანიშნავი მოქა-
ლაქე და ჭეშმარიტი
ინტელიგენტი ქალბა-
ტონი მარიამ ბერძე-
ნიშვილი.

მისი ცხოვრება და
მოღვაწეობა წალენ-
ჯისის რაიონს უკავ-
შირდება, სადაც წლე-
ბის მანძილზე ცხოვ-
რობდა და საყვარელ
საქმიანობას ეწეოდა
სიცოცხლის ბოლომ-
დე. სადაც კი უშუალია,
ნაკიფუს, წალენჯისის,
ქვედა მაზანდარის
საშუალო სკოლებში,
ყველგან დიდი ავტო-
რიტეტითა და პროფე-
სის დიდი ცოდნით
ხასიათდებოდა. იგი

მოწოდებით იყო პედაგოგი. უზომოდ უყვარდა თავისი საქმე, ოჯახი, შვი-
ლები, მოზარდითაობა... თავისი კდემამოსილებით, სათნობით, დახვენილი
პედაგოგიური ტაქტით, უზაღლ ზენობით საოცარ ზემოქმედებას ახდენდა
მის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე.

მარიამ ბერძენიშვილი თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე
განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოზარდთა ზენობრივ აღზრდას. ამ
დღიდ საქმეს უშურველად, დიდი შემართებით ემსახურებოდა. მისი ყოფილი
მოსწავლეები დღემდე არ ივიწყებენ ქალბატონ მარიამის ამ დღი ღვაწლს.

მარიამ ბერძენიშვილმა თავისი ბედი დაუკავშირა ნიჭიერ ლიტერატორს,
შემოქმედს, პედაგოგს, რაიონული გაზეთის რედაქტორს — შოთა პლატო-
ნის ძე ფიქიას. იგი პირველი ბრძანდებოდა ბატონი შოთას შემოქმედების
ნამკითხავიც და შემფასებელიც. მათ აღზარდეს შესანიშნავი შვილები თა-
მაზ და ლეილა ფიქიას. ისინი ღირსეულად აგრძელებდნ სახელოვანი მშობ-
ლების ტრადიციებს.

რამდენი ლამაზი მოგონებაა... თბილი, სასიამოვნო, მეხსიერებიდან
ამოუშლელი, ამ უსათოეს ქალბატონთან დაკავშირებული. ბედნიერი იყვ-

ნენ მასთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანები, რამდენი სიკეთე და სითბო
მიუღიათ ამ სულით ძლიერი ქალბატონებისგან. ეს პედაგოგება მეც მხვდა
წილად, როცა 1997 წლის გაზაფხულზე ოჯახში ვენევიე ქალბატონ მარიამს.
ძალიან გაუსარდა მისი კოლეგის შვილი რომ აღმოვჩნდი (მამაჩემი ჭიჭიკო
ძაბაშია წალენჯისის კ. შერობისა სახელობის პირველ საშუალო სკოლაში
ათი წელი მუშაობდა უცხო ენის მასნავლებლად). ბევრი საინტერესო ამბა-
ვი გაიხსენა ქალბატონმა მარიამმა. მან ხაზი გაუსვა წალენჯისის პირვე-
ლი საშუალო სკოლის პედაგოგთა საოცარ ურთიერთობას, საქმის ცოდნის
პროფესიონალიზმს, მოსწავლეთა სწავლებისკენ განწყობის მაღალ უნარს,
კოლექტივის მონოლითურობას...

დაწვრილებით გამომკითხა, სად ვმუშაობდი, რას ვაკეთებდი, დაოჯახე-
ბული ვიყავი თუ არა და ა.შ. მასთან საუპარი საინტერესო გამოდგა. ბო-
ლოს საჩუქრად უურნალ „აიას“ ორი ახალი ნომერი გამომიტანა. უურნალის
რედაქტორია მისი შვილი, მწერალი, პოეტი და უურნალისტი თამაზ ფიქია. დიდია
ბატონ თამაზის როლი უურნალის პოპულარიზაციის საქმეში. როცა
ვთხოვე გაეკეთებინა წარწერა უურნალზე, ჩაიქიერდა და მითხრა მაშინ ჯო-
ბია ერთ-ორ დღეში გამომიარო და ჩემს სურვილებს „აიას“ გვერდზე ლექ-
სად გამოვთქამო. სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩვენი საუბარი ლიტერატურაზე, პოეზიაზე გაგრძელდა, ვიცოდი მშვენი-
ერ ლექსებს, რომ წერდა მაგრამ საკუთარ შემოქმედებაზე საუბარი არ უყ-
ვარდა. როცა გაიგო რომ მეც პატარა ლექსებს ვწერდი, წაკითხვა მთხოვა. მახსოვს,
ორი ლექსი წაუკითხე — „წალენჯისასა“ და „აიეტზე“. მოენონა
და შემაქო. მერე მითხრა — ლექსებს აქვეყნებ თუ არაო. არა-მეოქი, ასე არ
შეიძლება მითხრა...

მეორე შეხვედრისას უურნალები გადმომცა, ვნახე, ლექსიც დაუწერია
ასეთი სათაურით — „ძვირფას ახალგაზრდას — ვალერის“, სადაც ასეთი
სტრიქონებია: „...როგორ ფიქრობ, მალულად რომ იცხოვორ ისე, ისე შესძ-
ლებ, სამშობლოს შენი ნიჭი მისცე?“

მეორე ნომერზე ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „... შიში განდევნეთ
გულიდან და გონივრულად იმიქმედეთ ყოველ მომენტში. თქვენი სახე მო-
მასწავლებელია თქვენი წარმატების. მე აღბათ მალე არ ვიქნები, მაგრამ ეს
ჩემი წარწერი აყვავდება თქვენს „აიაში“. ლექსი ძალიან უბრალოა, მაგრამ
მაინც სასიამოვნოა. 26.IV. 976.“ მარიამ ბერძენიშვილი-ფიქია.

გარდაცვალებას ვერავინ შექრერებს. არდავიწყება კი წამდვილად შეგვიძ-
ლია. მარიამ ბერძენიშვილს წლეულს 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი ბედ-
ნიერია იმით, რომ ამდენი სითბო, სიყვარული და სიკეთე დატოვა ამგვეუ-
ნად, რომ მის სულს დავიწყება არ უწერია!

ქალბატონ მარიამ ბერძენიშვილის ხსოვნის საპატივცემულოდ გაზეთ
„ნოჯისურის“ მკითხველებს ვთავაზობთ თამაზ ფიქიას ლექსებს დედაზე
— ციკლიდან „შინაურული გარემო“.

ვალერი ძაძამია

სონეტი დედას

უძლური ხდება გრძნობასთან სიტყვა,
დედაშვილობის მაღლა როცა ვხედავ,
რარიგ გადმოვცე თუ როგორ მიყვარს
ჩემი ბუზუნა, მოხუცი დედა.
ალალი, სათნო გულით, ხელებით,
ბავშვობიდანვე თავს მევლებოდა,
გამიჩირალდნა ყრმობის ველები,
მამისეული ამაღლა იდა.
მზეს იფიცება ახლაც შვილების,
შემოხვევია შვილიშვილებიც —
დედა ტკბილი სიცოცხლის წყარო!
დედისგან მარად ვართ დალოცვილი,
დიდ სიყვარულით ძალამოსილი,
დედის ყველა დღე შვილებით დარობს!

II

დედა აქის სიცოცხლის სიგარელი!

დედის გული, სათნო, ტკბილი, შვილებს მუდამ გვიხმობს,
დედის გულში ვინ გაზომოს სიყვარულის სითბო.
დედასავით სანატრელი, ყრმობაში თუ ბოლოს,
არავინ გვყავს, დედა არის სიცოცხლის სიმბოლო!
დედისაგან დაენათლა და მეც ხოტბა დამცდა:
ისე კარგი, ძვირფასი ხარ, მუხლის მოყრას ვტედავ,
შენი გულის ხმა და სითბო არ მოგვშლოდეს, დედა!

III

საყვარელი ჩემი დედა

ისევ მარტო დამრჩა სოფლად
საყვარელი ჩემი დედა,
ტყვიასავით გულში მომხვდა
მის ნაღვლიან თვალთა სევდა.
გულს ეკლიანს აქსოვს ბადეს
ეს ყოველი განშორება,
ბევრჯერ მნარედ გამოვცადე
შვილის განცდის გაორება:
ვით პატარას, — დედა შინდა!
მონატრება არ ხუნდება...
მაშ, ამ სურვილს, ასე წმინდას,
რა უხვდება წინ ხუნდებად?
იქნებ ის, რომ დედამ იცის
გულისწორის ხსოვნის ფასი
და უმტკიცებს მამას ფიქიო —
ეს კერაა რა ძვირფასი!

იქნებ ის, რომ შვილებს მაინც
გვავიწყება დიდი ვალი
და, თუმცა გვსურს ვგავდეთ რაინდას,
გვიჭირს განსჯა მომავლის.
დედის გულის მუდმივ სითბოს
ვერ ვპასუხობთ მსგავსი გრძნობით,
როცა ზრუნავს დედა ითხოვს,
აღარ გვახსოვს მადლი ნდობის.
აღარ გვახსოვს რა იმედი
ერწყმის დედის თვალით ხედვას,
რა ყისმათი ჩვენი ბედის
ახლაც ნეტარ სიტყვას: დედა!
ეს მაშინ, როს უზესოა
შეგონების ქარი ჰერიან:
- უძვირფასესა, ულამაზესა
ქვეყანაზე დედა ჰერიან!

IV

დედას

ჩვენით გახარებს, ვიცი,
წუთისოფელის ბრუნვა,
ღვთისოვის აღგითქვამს ფიციო
შვილებზე მუდამ ზრუნვა.

ჩვენზე მგზნებარემ განვლე
მზიურ ცხოვრების ველი,
ცხელია ფიქრის ნავლი
მრავალი განცდით მწველი
მამა ოჯახისთავი,
დავკარგეთ, დარჩი მარტო,
დორობა დადგა ავი,
ზოგჯერ სიკვდილსაც ნატრობ
მოხუცი საზყლად გხედავ,
არ გიჭრის მუხლი, სიტყვა,
უძვირფასესო დედავ,
მასხსოვს რა გულმნე იყავ!
როცა ლამპარი ანთე —
ნათელი კვალისმჩენი,
გვინთებდი ცოდნის სანთელს
თვით ნათლისვეტი ჩვენი.
შვილების დარიგებას
ლირსება ახლდა დიდი,
როგორ არ გაგიგებდით —
ილიას ენით გვზრდიდი.
ისენებ ბევრ მოსწავლეს
მერჩე ანვდილი ხელით,
სკოლაში იმოღვანე
ორმოცდაათი წელი.



მარიამ ბერძენიშვილი კოლეგებთან ერთად

6 ←

რარიგი არწყავს სათლი
ანმყო-ნარსულის ხედვას,
დედაშვილობის მაღლი
მინდა გადმოგცე დედავ.
ასხივებ გულის სითბოს,
სხვების აღზრდა გაქვს ბედად,
შენი ხმის სილბო-სიტკოს
რა შეედრება, დედა!
მეძალვის ხშირად სევდა,
მფუნვარე ჰანგი სტვირის,
მეც გული მითრთის, დედა,
ჩევნის უმწეობას ვტირი.
დუხტირ ცხოვრების ზვირთში
თავსა გრძნობ ვით უცნობი,
მძიმეა წლების ტვირთი,
— ტკივილი მოხუცობის.
წლები გასულან ჭარბად,
ცრემლით გენამვის სახე,
უკვე თვალნათლივ დადგა
შენი დაკარგვის საფრთხეც.
თავს გაუფრთხილდი, დედავ,
რომ ვართ დიდი გაქვს წვლილი,
უშენოდ, — რად ვერ ხედავ,
ვხვდებით სიკვდილის შვილი!

V

ძვირვების და გენე...

დედი შენს თვალებს მოხუცების ჩაუდგა ბინდი
და შენს გონებას გადაეკრა მრუმე წყვდიადი,
გულმოკლულს გხედავ, სიხარულით მსურს გამიბრწყინდე,
მაგრამ მკრთალია ღრუბლიანი მზე განთადის.
უწინდებურად მოკამეამე დღე არ თენდება,
ტოროლასავით ფრთაშესხმული ველარ იქნები,
ბედნიერების კოშკი უკვე აღარ შენდება
და მიღმურს ელტვი დაბნეული შავბნელ ფიქრებით.
გიკვირს რაც ხდება, — უცნაურად დრო შეიცვალა
გაგიუცხოვდნენ შვილები და შვილიშვილები,
განგებამ ტანჯვა დაგაკისრა გადუხდელ ვალად,
მარიამ! სად ხარ! — მოგდახიან გარდაცვლილები.
ჯერ კიდევ გუშინ, ზეანეულ ბედის თამასას,
ოჯახზე ზრუნვით ძალმოსილი თავს ევლებოდი,
საყურადღებო, ყოველივე იყო ლამაზად,
ქმარ-შვილში გართულს არ გიგრძევია სიმძიმე ლოდის.
მოწმენდილ ცაზე მეხთატეხის გრგვინვად გაისმა
სიკვდილის ექო, — დიდი გლოვის შდერდნენ ზარები,
ოჯახისათვის დამძაფრველი მწუხრის დაისმა
ჩაბოგიბნელა სევდის არე, — ვერც გეხმარები!
ამ ლექსა როცა ვნერ, აღელვებულს სინდისი მქენჯის:
ძვირფასო, რა ვქნა, ხვედრი როგორ შეგიმსუბუქო?
მეც ძნელებედობით დაკარგული შვილი ვარ შენთვის
და გულგასენილს აღარ ძალმის ვიბაქიბუქ!

VI

ად გენებ ნებავ ჩასაც შედავ

ეს სოფელი რა მნარეა, დედავ,
წარსულიდან ახლა ტანჯვა დაგრჩა,
არ მენახა ნეტავ რასაც ვხედავ,
ვეღარ არჩევ ფლასებსა და ფარჩას.
დაგავინყდა რამდენი გყავს შვილი
და მეუღლეს სახელი რა ერქვა!
ვაი, ხსოვნა ასე გადაშლილი?
ვაი, ფიორი მორევია ძელქვას?
ამისრულდა რისიც მქონდა შიში,
თვალხელშუა სათაყვანოს გკარგავ,
დამდულრული გული ინყებს შიშინს,
როგორ შევძლო თავი იგრძნო კარგად.
ანთებს სხივი ზოგჯერ შენს გონებას
და ცრემლები დაგისველებს სახეს,
გარდასულის ცდილობ მოგონებას:
ეჱ, საწუთომ რად დაგიგო მახე!
საბაღნაროდ ჩვენც ვერ ვხარობთ, დედავ,
რა ბედია ეს ამგვარი ხევდრი,
არ მენახა ნეტავ რასაც ვხედავ,
გვეშველოს რამ, — გამჩენს ამას ვვედრი.
სამართალი სად ვეძებო, დედავ,
შენი ცოდვით ვიწვი ვით აპედი,
ღვთის მორჩმუნე ამ საყვედურს ვპედავ:
რად ვართ კაცნი ასე ავი ბედის?

VII

გულს შეჩხა სითბო დედის ხელების
ცხოვრება ბერგან მანქვა აღწერილი,
ბედი თავს მესხმის, როგორც მარტორქა,
თვალცრემლიანი, გულდასერილი,
მომაკვდავ დედის ვდგავარ საწოლთან.
სულ სხვანარიად დარეება ზარმა
სრულად ობლობის მნარე ხანასი,
დედა მიკვდება, ვინაც გამზარდა
ტბილი ქართული იავნანათი.
მწუხარე გულის თრთოლვამ გამრინდა,
უკულმართ, მძიმე უამს ვერ ვუყელე,
ათას გასაჭირს გამომარიდა,
მე ვერაფერი ვეღარ ვუშველე.
გულს შემრჩა სითბო დედის ხელების -
დამგვანებია წვრილ, გამხმარ ჩხირებს,
ავდარი მიტევს კვლავ გახელებით,
გადაუღებლად ანი ინვიმებს...
დედა მიმაჩნდა მფარველ ფერიად,
თავს მევლებოდა სულ მუდამ ზრუნვით,
ო, უმისობა რარიგ ძნელია,
საძღლვიარი ჩამესმის ზრუნი.
დარდით შეძრული მოვთქვამ იმასაც:
დედა თუმც ჰუნდა თვალნინ იალას,
საწუთომ შხამი წვეთობით მასვა,
დამაცლევინა მნარე ფიალაც.
წარსულთან უკვე ჩამიტყდა ხიდი,
მკაცრ მომავალთან პირისპირ დავრჩი,
შემოფათფათდა შავბნელი ბინდი
დაუნდობელი არსობის ფარსით.

ახლაც მის სახეს მშველეულად ვსახავ

სხვას არ ვახსოვარ ისე როგორც ვახსოვარ დედას,
დედის თვალებით ცისქვეშეთში ვერავინ მხედავს,
უმისობ ძალზე დამცრობილა მაკროსამყაროც,
ხელჩასაკიდად, ძველებურად, არც რამ არ მყარობს.
სხვას არ ვუყვარვარ, ისე როგორც ვუყვარდი დედას,
ყველაზე კარგი, სათნო დედა მყავდა ჩემს ბედად,
ახლაც მის სახეს, როცა მიჭირს, მშველეულად ვსახავ,
დიადო ღმერთო, ანი დედას მე კვლავ სად ვნახავ?!
ყმანვილობისას მიმიჩნევდა მწე პრძენად უკვე,
მთელ დუნიაზე სურდა მევლო ყველაზე უკეთ,
გამომრჩეოდა მოხდენილი, ზღაპრული ცირა -
წყვილთ შემხედვარეთ ხშირად ეთქვათ: ნეტავ გვაცქირა!
ჭაბუკობისას მისთვის ვიყავ ისე ლამაზი!
იტყოდა ხოლმე: რა ბიჭია ჩემი თამაზი!
ჭარმაგობისას შემხაროდა დედის იმედით,
განგებისაგან რომ მქონოდა ვაუკაცის ბედი.
ნუთუ მფარველი ანგელოზი ცაზე გამიქრა?!
ვარსკვლავი ჩემთვის ნაბრწყინები ასე განიბნა?!
სუნთქვაც კი მიმძიმს, გული თურმე უდედოდ ცვდება,
უფრო და უფრო მენატრები ძვირფასო დედავ!



მარიამ ბერძენიშვილი, მეუღლე
შოთა ფიფა და შვილიშვილი
კობა კალანდია

VIII

მზის სხივად ანათებ, დედა!

მზერა ფონს მიღმა გადარბის...
მშვენიერ ძველ სურათს ვხედავ:
სადაც ბავშვობის დარბაზის
მზის სხივად ანათებ, დედა!
ხსოვნას მუხლებზე ვუდგები...
რარიგ მგვრის წარსული სევდას,
მთრგუნავს სიკვდილის ხუნდებით
ასეთი სიმორე, დედა!
უსაზღვროდ მიყვარხარ ისევ...
ლექს თვალცრემლიანი ვწერ და
საოცარ ხატებას მივსდევ —
